# ლოცვები შვილიერებისათჳს

*მართალი იოაკიმე და ანნა*
*(ხსენება 9. IX.)*

*ტროპარი, ჴმაჲ 1:* რომელი ჰსჯულსა შინა მადლისა მიერ განმართლდეს და ყრმა ღმრთიუ-მონიჭებული გვიშუეს ჩუენ, იოაკიმ და ანნა, ამისთჳსცა დღეს ბრწყინვალედ განცხრების სოფელი და დღესასწაულობს ეკლესია ღმრთისა პატიოსანსა ჴსენებასა მათსა და ადიდებს ღმერთსა, რომელმან აღგვიდგინა ჩუენ რქაჲ ცხოვრებისა სახლსა დავითისსა.

*კონდაკი, ჴმაჲ 2:* იხარებს აწ ანნა, ბერწობისა საკრველთაგან ჴსნილი და ზრდის ყოვლადუხრწნელსა, თანად მომწოდებელი ყოველთა გალობად, რომელმან მონიჭა საშოთ მისით კაცთა მხოლო დედა, ქმრისა გამოუცდელი.

*წმიდაჲ წინაჲსწარმეტყუელი ზაქარია და*
*მართალი ელისაბედი*
*(ხსენება 5. IX.)*

*ტროპარი, ჴმაჲ* 4: მღუდელობისა სამკაულითა ბრწყინვალედ გარე-შერტყმულმან, ჰსჯულისაებრ ყოვლად-დასაწველნი შეწყნარებულნი ღმრთისა მღუდელ შუენიერად შესწირენ, ზაქარია, და იქმენ მნათობ და მხილუელ



საიდუმლოთა და მოსწავებათა მადლისათა შენ შორის მქონებელად გამოსჩნდა ყოვლად-ბრძენო, და მახვილითა მოიკალ ტაძარსა შინა ღმრთისასა, ქრისტეს წინაჲსწარმეტყუელო, წინამორბედისა თანა მეოხ-გუეყავ ცხოვრებად სულთა ჩუენთათჳს.

*კონდაკი, ჴმაჲ 2:* დღეს წინაჲსწარმეტყუელმან და მღუდელმან უფლისამან, ზაქარია, მშობელმან წინამორბედისამან, წინადაგვიგო ტაბლაჲ წინაჲსწარმეტყუელებისა , მორწმუნეთა გამომზრდელი, და სასუმელი სიმართლისა ყოველთა გვიწდია, ამისთჳსცა იდიდა, ვითარცა საღმრთოჲ მესაიდუმლე ღმრთისა მადლისა.

*დასდებელი სტიქარონსა ზედა, ჴმაჲ 2:* ვითარცა უბიწო და წმიდა მღუდელთმოძღუარი, წმიდასა მას წმიდათასა შეხუედ დღეს შემკული სამოსლითა სამღუდელოჲთა ბრწყინვალედ და უბრალოდ ღმერთსა ჰმსახურებდ, ღირსო, ვითარცა აჰრონ და მოსე შჯულისმდებელი წინა-უძღოდე ისრაელთა ტომებსა კუართითა მით ფესუედითა განშუენებული, რომელსა შინა მოიკალ უბრალოდ, ხოლო სისხლი შენი, მართალო, გუექმნა ჩუენ ცხორებისა საბანელ და მიჰრონ სურნელ აღმავსებელ სულთა ჩუენთა სურნელებითა, რამეთუ გონებათა ჩუენთა წმიდა-ჰყოფ მოგებად საუკუნოჲსა ცხორებისა, ზაქარია, სამგზის სანატრელო მღუდელმთავარო, მშობელო დიდისა წინამორბედისაო და კეთილო მეუღლეო გურიტისა მის

სალმრთოჲსა ელისაბედისო, მათ თანავე ევედრე ჩუენთჳს ქრისტესა, რაჲთა მოგუანიჭოს, მეოხებითა შენითა, შენდობაჲ ცოდვათა ჩუენთაჲ და სულთა ჩუენთა დიდი წყალობაჲ.

### *წმიდაჲ მოციქულთა სწორი ნინო ქართველთა განმანათლებელი (ხსენება 14. I. და 19.V.)*

*ტროპარი, ჴმაჲ 4:* სიტყჳსა ღმრთისა მსახურთა თანამოსაგრეო, და ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო, ქართველთა განმანათლებელო, და სულისა წმიდისა ქნარო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა, შეწყალებად სულთა ჩუენთათჳს.

*კონდაკი, ჴმაჲ 2:* მოციქული ქრისტესგან გამორჩეული, ქადაგი სიტყჳსა ღმრთისა განსწავლული, მახარებელი ცხოვრებისა, წინამძღუარი ქართველთა ერისა გზათა სიმართლისათა, დედისა ღმრთისა საკუთარი მოწაფე ნინო, შევამკოთ დღეს ყოველთა ძნობითა სალმრთოჲთა, მეოხი მხურვალე, მცველი დაუძინებელი.

### *წმიდაჲ მოწამე დედუფალი შუშანიკი (ხსენება 28. VIII)*

*ტროპარი, ჴმაჲ 8:* წამებისა გჳრგჳნითა შეიმკვე მეუღლისა შენისაგან, დედუფალო, წმიდაო შუშანიკ, და წარმავალისა



დედუფლობისა წილ მოიგე სუფევაჲ წარუვალი, და აწ კადნიერად მდგომარე ხარ წინაშე სიძისა შენისა, უკუდავისა ქრისტესა, მეოხ-გუეყავ მაქებელთა შენთა, სანატრელო.

*კონდაკი, ჴმაჲ 4:* დღეს მოხარულ არს ერი ქართველთა ჴსენებისა შენისათჳს, დედუფალო, წმიდაო შუშანიკ, და ლუაწლთა შენთა სიმრავლისა მაქებელნი, ვითხოვთ ქრისტესგან, მეოხებითა შენითა, სოფლისათჳს მშვიდობასა და სულთა ჩუენთათჳს დიდსა წყალობასა.

### *წმიდაჲ ქალწულმოწამე პარასკევა (ხსენება 28. X.)*

*ტროპარი, ჴმაჲ 4:* ბრძენმან ყოვლად-ქებულმან, ქრისტეს მოწამემან, პარასკევა, მამაკაცობრივი სიმჴნეჲ აჩუენა და დედობრივი უძლურებაჲ განაგდო, ეშმაკსა ჰსძლო და მძლავრსა არცხვინა, ღაღადებდა და იტყოდა: მოვედით, გუამი ჩემი მახვილითა დასჭრენით და ცეცხლითა დასწუენით, რაჲთა სიხარულით წარვიდე ქრისტეს მიმართ სიძისა ჩემისა, მისითა მეოხებითა, ქრისტე ღმერთო, აცხოვნენ სულნი ჩუენნი.

*კონდაკი, ჴმაჲ 3:* ყოვლად წმიდა და უბიწო სისხლი შენი შესწირე, ვითარცა სუნნელი ყოვლად-პატიოსანი, უკუდავსა სიძესა, ქრისტესა, და ანგელოზთა სიხარულსა მიემთხვიე, და სძლე ეშმაკისა მანქანებასა, ამისთჳს, ყოვლად-პატიოსანო,

სარწმუნოებით პატივს გცემთ, მოწამეო პარასკევა, მრავალ-მოღვაწეო *ღირსო.*

*წმიდაჲ სჳმეონ მესუეტე*
*(ხსენება 01. IX.)*

*ტროპარი, ჴმაჲ 1:* სუეტ-მოთმინებისა ქმნილი, ებაძვე პირველთა მამათა ღირსო, იობს ვნებათა შინა, და იოსებს განსაცდელსა და უხორცოთა მოქალაქობასა, მყოფი ჴორცთა შინა. მამაო წმიდაო, სჳმეონ, ევედრე ქრისტესა ღმერთსა, შეწყალებად სულთა ჩუენთათჳს.

*კონდაკი, ჴმაჲ 2:* ზენათა ძიებითა, ზენათა შეერთებული, და ცად მეორედ სუეტისა აღმმართებელი, ამათ მიერ თანამზრახველ ანგელოზთა იქმენ შენ, ნეტარო, მათთანა ქრისტესა ღმერთსა ევედრე დაუცხრომელად, ჩუენ ყოველთათჳს.

*ღირსი დავით გარეჯელი*
*(ხსენება ამაღლების შემდგომ ხუთშაბათს)*

*ტროპარი, ჴმაჲ 4:* ოფლითა მით მოღუაწებისათა განზავებულნი ცრემლთა წყარონი, აწ მიუპყრენ სავედრებელად მეუფესა, და ითხოვე აღორძინებაჲ მისი, რამეთუ ცრემლით სთესე და სიხარულით მოიმკენ ნაყოფნი უდაბნოსანი, ჵ, დავით, ბრწყინვალებაო სოფლისაო და მეოხო სულთა ჩუენთაო.

*კონდაკი, ჴმაჲ 4:* შუა მდინარით აღმოხედ ვარსკულავი



ყოვლად-ბრწყინვალე, და მოიწიე უდაბნოდ გარესჯად და მიერითგან მოსლვითა შენითა, ვითარცა სამოთხე, ნერგთაგან წმიდათა, სცენდებიან ნერგნი სიტყჳერნი, რომელთათჳს ოხასა ნუ დააცადებ, დავით სანატრელო.

*ღირსი თეოდოსი დიდი*
*(ხსენება 11. I.)*

*ტროპარი, ჴმაჲ 8:* ცრემლთა მდინარითა უდაბნოჲ უქმი მოიმუშაკე, და სიღრმით სულისათ სულთქუმითა ასეულად შრომანი ნაყოფიერ-ჰყუენ, და იქმენ მნათობ და განმანათლებელ სოფლისა საკჳრველებათა მიერ, მამაო წმიდაო, თეოდოსი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა, შეწყალებად სულთა ჩუენთათჳს.

*კონდაკი, ჴმაჲ 8:* შენ, დანერგულმან ეზოთა შინა ღმრთისათა, სათნოებათა ღირსება აღაყვავილენ და განამრავლენ შვილნი შენნი უდაბნოსა შინა, წვიმათა მიერ ცრემლთა შენთასა მორწყულნი, ბაკოვანთა საღმრთოთა არვეთ მთავარო, ამისთჳსცა გიღაღადებთ: გიხაროდენ, მამაო თეოდოსი.

*ღირსი რომანოზ საკჳრველთმოქმედი*
*(ხსენება 27. XI)*

*ტროპარი, ჴმაჲ 1:* უდაბნოსა მოქალაქედ და ჴორცითა

ანგელოზად და სასწაულთა მოქმედად გამოსჩნდი, ღმერთშემოსილო მამაო, წმიდაო რომანოზ, მარხჳთა, მღჳძარებითა და ლოცვითა მადლი ზეცით მოიღე და ჰკურნებ უძლურთა სენთა და სულთა, რომელნი სარწმუნოებით შენდა მოივლტიან. დიდებაჲ, რომელმან მოგცა შენ ძალი, დიდებაჲ, რომელმან გჳრგჳნოსან-გყო შენ, დიდებაჲ, რომელი იქმს შენ მიერ ყოველთა ზედა სასწაულთა.

*კონდაკი, ჴმაჲ 2:* სიწმიდისა სულისათა საღმრთოდ შეიჭურვე, დაუცხრომელად ლოცვა, ვითარცა ლახვარი ქელთ-იდევ, კადნიერად განგმირე ეშმაკთა ბანაკი, საკჳრველთმოქმედო, მამაო რომანოზ, ევედრე ღმერთსა ჩუენ ყოველთათჳს.

## *ღირსი ექვთიმე დიდი*
## *(ხსენება 20. I.)*

*ტროპარი, ჴმაჲ 4:* იხარებდ უდაბნო ეგე ბერწი და იშვებდ, რომელი ეგე უშვილო იყავ, რამეთუ განგიმრავლნა კაცმან გულის სათქუმელმან, ღმრთის მოშიშებით დანერგნა და მარხჳთა აღზარდნა სისრულედ სათნოებისა, ექვთიმეს მეოხებითა ქრისტე ღმერთო, აცხოვნენ სულნი ჩუენნი.

*კონდაკი ჴმაჲ 8:* პატიოსანასა შობასა შენსა მადლი ჰპოვეს ყოველთა დაბადებულთა და წმიდასა ჴსენებასა შენსა, ღირსო, მხიარულებაჲ მოიღეს მრავალთა მათთჳს საკჳრველებათა შენთა, რომელთაგან მომადლე სულთა ჩუენთა დიდი



წყალობაჲ, რომელნი ვგალობთ: ალილუია.

## *ღირსი იპატი*
## *(ხსენება 31. III)*

*ტროპარი ჴმაჲ 8:* შენ შორის საკჳრველო, მამაო, კეთილად დაცულ იქნა ხატება, რამეთუ აღიღე ჯუარი და შეუდეგ ქრისტესა, და მოქმედი ასწავებდი შეურაცხყოფასა ჴორცთასა, ვითარცა წარმავალსა, ხოლო ღვწასა სულისასა, ვითარცა უკუდავისა არსებისასა, რომლისათჳსცა ანგელოზთა თანა იხარებს სული შენი, ნეტარო იპატი.

*კონდაკი, ჴმაჲ 2:* სიწმიდისა სულისათა საღმრთოდ შეიჭურვე, დაუცხრომელად ლოცვაჲ, ვითარცა ლახვარი, ქელთ-იდევ, კადნიერად განგმირე ეშმაკთა ბანაკი, საკჳრველთ-მოქმედო მამაო, იპატი, ევედრე ღმერთსა ჩუენ ყოველთათჳს.